ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 165 (18407) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 17 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1982 ᲬᲚᲘ · ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲝᲕᲘᲡ სახელობის საავიაციო ქარხნის მშრომელებმა წარმატებით დაამთავრეს რუსეთის არაშავმინანადგანი ზონისადმი მიძღვნილი ოდა-მეთხუთმეტე დამკვრელური კვირა. სოციალისტური შეჯიბრების საქარხნო შტაბმა აღნიშნა, რომ ამ დამკვრელური კვირის მანძილზე გაიზარდა მეტი წილი საწარმოო ქვეგანაყოფების, ბრიგადებისა და მუშების მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი. ერთ-ერთი საუკეთესოთაგანნი გახდნენ № 39 საამქროს ბრიგადის მშრომელები, რომლებსაც ბრიგადირი ვ. კუბლაშვილი ხელმძღვანელობს. ისინი ერთიანი განწესით მუშაობენ, და ისევე როგორც № 9 საამქროს ვ. კაზიევის ბრიგადა, 15-20 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებენ ცვლის დავალებებს.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ

ᲬᲚᲘᲡ დამდეგიდან საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ „ახალი ითხვისის“ მაღაროთსამმართველოს კოლექტივმა საბჭოთა კავშირის მეტალურგიულ ქარხნებს დაგალების გადაჭარბებით გაუგზავნა 14,5 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ნედლეული.

მაღაროელები შრომითს ვახტზე დადგნენ და ვალდებულება იკისრეს ამოიღონ მეტი მადანი და ამავე დროს დაზოგონ საკაპე მასალები, ყაირათიანი მუშაობით დაზოგეს 180 ათას მანეთზე მეტი.

მაღაროელთა შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება, რათა ახალ-ახალი წარმატებებით შეხვდნენ სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს. (საქინფორმი).

ᲖᲣᲓᲘᲓᲘ

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲘᲡᲘ წლის უხვი მოსავლის მოსალოდნელ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში [illegible] აღნევენ ზუდიდელი მშრომელები. ამჟამად თავი ისახელეს რაიონის მეაბრეშუმეებმა. არახელსაყრელი ამინდის პირობებში მათ ვადამდე შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა-ვალდებულება. საგეგმო 430 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 434 ცენტნერი ხარისხოვანი პარკი.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

უს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ზუდიდიის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. თოდუამ და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. კუტალიამ.

60 — ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲕᲐᲮᲢᲘ: ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲨᲘ, ᲑᲐᲦᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ

ᲒᲐᲜᲒᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲗ ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲓᲐᲕᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲡᲘ!

ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ცხელი დღეებია. მთელი რიგი რაიონების საზოგადოებრივმა მეურნეობებმა დროზე დაიწყეს ბუნებრივი და ნათესი ბალახების თიბვა. პურისა და ქერის მკის შემდეგ ნამჯის აგროვებენ, წნეხავენ და ფერმებთან ზვინავენ. ახე იქცევიან იქ, სადაც პირუტყვს საკვები ბაზის განმტკიცებისათვის ენერგიულად შრომობენ.

რესპუბლიკაში საკვების დაგროვების მდგომარეობა ივლისის პირველი დეკადის შემდეგ ასეთია: ბუნებრივი და ნათესი ბალახები მოთიბულია 87.281 ჰექტარზე, ანუ შარშანდელთან შედარებით 5.324 ჰექტარით ნაკლები. გეგმით წელს 668.000 ტონა თივა უნდა დამზადდეს, ჯერჯერობით დამზადებულია 58.225 ტონა — შარშანდელთან შედარებით 5.668 ტონით ნაკლები. ნაცვლად 500.000 ტონისა, ჩაბებულია 378.869 ტონა სენაჟი. ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს ნამჯის შეგროვება, 300.000 ტონის ნაცვლად შეგროვილია 26.783 ტონა. 1.096.000 ტონის ნაცვლად ჩაბებულია 39.424 ტონა სილოსი.

როგორც, ვხედავთ, უხეში და წვნიანი საკვების დამზადების ტემპი დამაკმაყოფილებელი ვერ არის. ზაფხულის გრძელი დღეები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, მთლიანად უნდა ავიღოთ და დავამზადოთ უხეში საკვები.

საკვების დამზადების საქმეში გარკვეული წარმატებები აქვს თელავის რაიონს, არის ნაკლიც, სწორედ ამის შესახებ ვბეჭდავთ კორესპონდენციას ამ რაიონის საკვებმომპოვებლების შესახებ.

ᲗᲘᲑᲐᲕᲔᲜ, ᲡᲔᲜᲐᲥᲡ ᲓᲔᲑᲔᲜ, ᲜᲐᲛᲯᲐᲡ ᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲔᲜ

ᲐᲡᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲛᲝᲛᲑᲝᲕᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲑᲘ

ᲮᲕᲘᲠᲛᲐ ღვარცოფებმა, სეტყვამ და ქარებმა ერთობ გაართულა საზაფხულო სამუშაოები. თელავის რაიონის მშრომელებმა კარგად იციან, რომ სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის წლის ყოველ დროს დიდი შრომაა საჭირო. ისინი ერთი წუთითაც არ ივიწყებენ, რომ ამ საარსებო მნიშვნელობის საკითხის გადაჭრის საქმეში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი მშრომელთა მეცხოველეობის პროფესიონალებს ეკუთვნის. მეცხოველეობაზე, პროდუქტების წარმოების გადიდებისთვის კი საჭიროა პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა.

თელავის რაიონის საზოგადოებრივი პირუტყვის საკუთარი წარმოების საკვებით უზრუნველყოფად და 1982-1983 წლებში ნორმალურად გამოზამთრებისათვის რაიონის საკვებმომპოვებლებმა მომდინარე სეზონში უნდა დაამზადონ 16.760 ტონა უხეში საკვები, მათ შორის თივა — 4.540 ტონა, სენაჟი — 6.180, ნამჯა და ჩალა — 6.040 ტონა, სილოსი — 17.000 ტონა, საკვები ძირხვენები — 3.390 ტონა.

ახლა სწორედ ზაფხულის ცხელ დღეებში წყდება ზამთრისათვის პირუტყვის საკვების მარაგის შექმნის ბედი. საკვებმომპოვებლები დღე-ღამეს ასწორებენ, რომ სტიქიის შედეგების ლიკვიდაციით, არსებული რეზერვების ამოქმედებით მიაღწიონ დასახულ მიზნებს.

ამ მიზნით შექმნილია საკვებმომპოვებელთა რაიონული შტაბი. მის შემადგენლობაში არიან პატიოანი, სპეციალისტები და სამეურნეო ხელმძღვანელები, მეცხოველეობის დარგის სპეციალისტები. შტაბი ოპერატიულად წარმართავს საკვების დამზადებისადმი თადარიგად ხელმძღვანელობას, ახდენს ადგილებიდან მიღებული ცნობების შესაბამისად რაიონში არსებული ტექნიკის გადანაწილებას და სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.

ახლა რაიონში ბეგმის გადამეტებით ამზადებენ სენაჟს, თავთიანები კულტურების მოსავლის აღებისთანავე წნეხავენ ნამჯას და ფერმებთან ზვინებად დგამენ, თიბავენ ბალახს, ტრანშეებში დებენ სილოსს.

საკვებმომპოვებელთა რაიონული შტაბის ოპერატიულმა ხელმძღვანელობამ სწორი მიმართულება მისცა „საქსახსოფლტექნიკის“ თელავის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების (მმართველი — ჯემალ დათიშვილი) და კოლმეურნეობების და სამეურნეობების შეწონასწორებულ მუშაობას. სწორედ ტექნიკის, მექანიზატორებისა და მძღოლების ერთობლივმა, თავდადებულმა შრომამ გახადა შესაძლებელი კოლდელაურის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე — გივი მახათელაშვილი) თორმეტ სამუშაო დღეში დაეზადებინა 1.200 ტონა სენაჟი (გეგმა კი 500 ტონას ითვალისწინებდა). ფშავლის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე — შ. ესიტაშვილი) კი უფრო შემჭიდროებულ ვადებში 500 ტონის ნაცვლად 810 ტონაზე მეტი სენაჟი დაამზადა. სანაქებო იმუშავეს ვარდისუბნის კოლმეურნეობის და ლალისყურის მეცხოველეობის გაერთიანების სარაითთაშორისო საბჭოს საკვებმომპოვებლებმა.

რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკვებმომპოვებლები მადლიერი არიან „საქსახსოფლტექნიკის“ საწარმოო გაერთიანების მომსახურებისთვის, მათი მძღოლების შ. მამეკელაშვილის, ჯ. მიქელაძის, თ. ლაჩაშვილის, ზ. გიოშვილის, თ. ტეტიაშვილის, ს. ელიზბარაშვილის და სხვათა თავდადებული შრომისთვის.

საკვებმომპოვებელთა რაიონული შტაბის მთავარ ყურადღებას უთმობს დამზადებული საკვების ხარისხს. შტაბის წევრები, დარგის სპეციალისტები ადგილზე მიდიან და სისტემატურად ამოწმებენ საკვების ხარისხს და აქვე ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი. ზოგ შემთხვევაში კი საკითხს შტაბის სხდომაზე იხილავენ.

მართვის ავტომატიზებული სისტემა „მოსავალი-82“ ფასდაუდებელ სამსახურს უწევს შტაბს, სწორედ მისი მეშვეობით შტაბისათვის დროულად გახდა ცნობილი, რომ ყარაჯლის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობა, საკვების დამზადების საქმეში ჩამორჩა რაიონის სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებს. მიღებულ სიგნალზე შტაბმა ოპერატიულად ამცნო: სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების მუშაკები, დარგის სპეციალისტები მიაფენა ადგილზე მდგომარეობის შესამოწმებლად. გამოირკვა, რომ სხვადასხვა სუბიექტურ მიზეზთან ერთად იყო ობიექტური მიზეზიც. კერძოდ, „საქეთერზეთმრეწვამ“, რომელსაც ამ მეურნეობისადმი მეურეობა აკისრია, ვერ უზრუნველყო აუცილებელი ავტოტრანსპორტით, სახურავებით, შესაფერებელი მოწყობილობებით და მასალებით, რის გამოც მეურნეობაში სხვადასხვა მარკის 31 ტრაქტორიდან 7 უმოქმედოდ დგას; არ მუშაობს 11 ავტომანქანა, ერთი კომბაინი და ა. შ. მაგრამ „საქეთერზეთმრეწვის“ ხელმძღვანელობა ნაკლებად ინტერესდება ამ საკითხებით. უფრო მეტიც, ზემოხსენებული საკითხების მოსაგვარებლად მათ ჯერაც არ გამოუყვიათ ფონდები და ფინანსები. ყოველივე ეს კი წლის დასაწყისშივე უნდა გადაწყვეტილიყო.

მდგომარეობის გამოსასწორებლად ყარაჯლის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობაში რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობებიდან გადაიგზავნა ტექნიკა, მიამაგრეს სპეციალისტები და დაწესდა გაძლიერებული კონტროლი ჩამორჩენის დასაძლევად.

Დ. ᲒᲔᲠᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲕ. ᲙᲝᲠ.

● ●

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: თელავის რაიონის ყარაჯლის ეთერზეთოვანი კულტურების მეურნეობაში დასახმარებლად მისული კომბაინი „ვეხარი“ შვრიის ნათესებში. წინა პლანზე: მეურნეობის ბრიგადირი რ. ყურბანოვი, აგრონომი ე. ჯოხაძე და მთავარი აგრონომი ა. სულიმანოვი სასენაჟე მასის ხარისხს ამოწმებენ.

Ა. ᲑᲠᲜᲯᲐᲘᲪᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ რაიონის ყარაჯლის საბჭოთა მეურნეობის მებაღეებმა ობლიხისა და რუხთავის სავაჭრო ქსელს 60 ტონა ბალი გაუგზავნეს. აქ ორას ჰექტარზეა გაშენებული კურკოვანი და ოესლოვანი ხეები. ყარაჯლელ მებაღეებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ქვეყნის სასურსათო პროგრამაში. მათ გადაწყვეტეს 1982 წელს სახელმწიფოს მიაყიდონ 4500 ცენტნერი ხილი — ხუთასი ცენტნერით მეტი, ვიდრე გათვალისწინებულია საგეგმო დავალებით.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ბლის კრეფა ყარაჯლის საბჭოთა მეურნეობაში. ბრიგადირი ს. სულიმანოვი ამოწმებს მებაღე ს. იუსუფოვას მიერ მოკრეფილი ხილის ხარისხს.

Ი. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲥᲐᲛᲘ ᲛᲔᲮᲘᲚᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲦᲚᲘᲡ

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

● **ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘ.** პურეულის მოსავლის აღება რაიონში საყოველთაო საქმედ არის გამოცხადებული. მკა თითქმის ყველგან იპატიოვლია მეთოდით მიმდინარეობს. მკის თან სდევს ნაკვეთების გასუფთავება, ზვნა, სანაწვერალო კულტურების თესვა.

მკაში პირველი დღეებიდანვე დაწინაურდნენ ტიბაანის, ბოდბისხევის, ანაგის და ქვემო მაჩხანის კოლმეურნეობების კომბაინერთა აგრეგატები.

კომბაინერთა შორის გამოლილ შეჯიბრებაში მოწინავეა შეჯიბრ ების ინიციატორი, ახალგაზრდა მექანიზატორი დიმიტრი ბუცურაული. იგი დღეში საშუალოდ რვის ნაცვლად თორმეტ ჰექტარზე მკის ყანას და ჰექტარზე 25-26 ცენტნერ მარცვალს ღებულობს. დიმიტრი ბუცურაულს შრომაში კვალში უდგანან ვაქრილი ზოთა ჩალაბაშვილი, მაღაროელი ამირან ყანდაშვილი.

16.700 ჰექტარიდან რაიონში უკვე მომკილია 1.100 ჰექტარი ხორბალი და ქერი. სახელმწიფო ბეღელში მიტანილია 5.000 ტონაზე მეტი მარცვალი. მარცვლის მიყიდვის საქმეში დაწინაურებულნენ ბოდბისხევის, ვაქრის, ანაგის და ქვემო მაჩხანის კოლმეურნეობები. სულ რაიონში დამზადდება 12.300 ტონა მარცვალი.

ᲕᲚ. ᲛᲐᲦᲚᲔᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲕ. ᲙᲝᲠ.

● **ᲗᲔᲚᲐᲕᲘ.** სარაიონთაშორისო პურის მომზებმა საწარმომ ოქროსფერი ხორბლით დატვირთულ მანქანებს „მწვანე ქუჩა“ გაუხსნა რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე, სადაც თვით ეს საწარმო მდებარეობს.

„მწვანე ქუჩაზ“ პირველებმა ყვარელის რაიონის შილდის კოლმეურნეობის მარცვლეულის დამამზადებლებმა გაიარეს და საწარმოს 34 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ხორბალი ჩაბარეს. დღეისათვის კი მარტო შილდელებს საგეგმო 616 ტონიდან 250 ტონამდე ხორბალი აქვთ ჩაბარებული, რაიონმაკი საგეგმოს ნახევარს გადაბარბა.

ყვარელებს მზარეობენ თელავის რაიონის მემანდვრეებიც. ამ საწარმოში ხორბალი პირველმა შალაურის სანერგე მეურნეობის პურის დამამზადებლებმა მოიტანეს და ამით დაიწყეს რაიონის საგეგმო 1950 ტონა ხორბლის ჩაბარებისათვის ლაშქრობა.

მალე დაიწყებენ ჩაბარებას ახმეტის რაიონის მშრომელებიც, რომლებმაც 3200 ტონა ხორბალი უნდა დამზადონ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲕ. ᲙᲝᲠ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: გალინა პოპოვა (მარჯვნივ) კონსულტაციას უწევს მარინე ალფაშვილს.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ორასამდე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, რომლებსაც მტკიცე შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებთ. ერთობლივ სამუშაოებს ახორციელებენ ისინი მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების კოლეგებთან ერთად.

ახლა მოსკოვის მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ორგანული ქიმიის კათედრაზე თბილისელი ახპირანტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მარინე ალფაშვილი ამთავრებს მუშაობას დისერტაციაზე „ტრიფტამინების ფოსფორორულ-აზოტური შენაერთების სინთეზი და თვისებები“. მისი წარმატებები ქმაყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი გალინა პოპოვა.

ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობის პროცესში ბევრი საინტერესო ნამუშევარი, საძიებო თემა იშვა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: გალინა პოპოვა (მარჯვნივ) კონსულტაციას უწევს მარინე ალფაშვილს.

Ა. ᲡᲘᲛᲔᲘᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲪᲘᲐ — ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ

15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი ეწვივნენ სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის სამინისტროს. ე. ვ. ალექსეევსკის სახელობის სრულიად საკავშირო სარეკულტივაციო ინსტიტუტის და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაგეტნი ბელოიარსკაიას ელექტროსადგურის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, როგორც სსრ კავშირის აგრონომიურწყალო კომპლექსის შემადგენელი ნაწილის განვითარების პროექტებს.

მოისმინეს სამინისტროს ხელმძღვანელებისა და პროექტების მთავარ ინჟინრების მოხსენებები, დათვალიერეს ექსპოზიცია, რომელიც ასახავს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს დარგში და მელიორაციის მნიშვნელობას სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში. (საკდესი).

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ

ᲤᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 16 ივლისი. (საკდესი). კოსმონავტები ანატოლი ბერეზოვი და ვალენტინ ლებედევი კვლავ წარმატებით განაგრძობენ კვლევისა და ექსპერიმენტების დაგეგმილ პროგრამას „სალუტ-7“ — „სოიუზ ტ-5“ — „პროგრეს-14“ ორბიტულ კომპლექსში.

ეკიპაჟი ამთავრებს „პროგრეს-14“ სატრანსპორტო ხომალდის განტვირთვის სამუშაოებს. განხორციელდა სატვირთო ხომალდის ავზებიდან გამაჩენგავით სადგურის გაერთიანებული ძრავის დანადგარის ტევადობათა ქმაგაწყობისათვის მომზადების ოპერაციები.

დღევანდელი დღის მეტი ნაწილი დაეთმო სამედიცინო ექსპერიმენტებს. კოსმონავტები იყენებენ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაკუმის კოსტუმის „ჩიბასის“ მეშვეობით შექმნილი ჰიდროსტატიკური წნევის მოქმედების იმიტაციის პირობებში. ფიზიოლოგიური პარამეტრების რეგისტრაციისათვის იყენებენ „ალიტა-01“ დ „რეოგრაფის“ აპარატურის ფიზიოლოგიურ პარამეტრებს, დადგენილია აგრეთვე ულტრაგერის მეთოდით გულის მოქმედების კვლევა.

გრძელდება ბიოლოგიური ექსპერიმენტები ორბიტული ფრენის პირობებში უმაღლეს მცენარეთა განვითარების შესასწავლად. დღეს შეიცვალეს ატმოსფერო „ოაზისის“ კოსმოსურ ორანჟერეაში.

კოსმონავტები დღის განმავლობაში ასრულებენ დედამიწის ზედაპირის დაკვირვების მორიგ ციკლს ბუნებრივი რესურსების კვლევისა და გარემოს შესწავლის პროგრამის მიხედვით.

ტელემეტრიული ინფორმაციის მოხაცემებით, სადგურისა და ორივე ხომალდის საბორტო სისტემა ნორმალურად მუშაობს, ფრენის პროგრამა წარმატებით სრულდება.

საერთაშორისო ლიდერების ჟურნალი სტოვრეკი

საქმედისა და ახალი ამბების საკმენტოს კორესპონდენტები გვაცყობინებენ

ფაქტები მოვლენები

● იუგოსლავია

კოსოვოს ამბები

ბელგრადი, როგორც ტანიუგის საგაზეთო იუწყება, კოსოვოს ავტონომიურ ოლქში (ქალაქები პრიზრენსა და გნილიანში) გაიმართა სასამართლო პროცესები ალბანელი ეროვნების პირთა ჯგუფის საქმის გამო, რომლებსაც ბრალად ედებოდათ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების ძირგამომხრელი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა. ცნობაში ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ 1976 წელს ამ პირებმა შექმნეს არალეგალური ნაციონალისტური ორგანიზაცია, ავრცელებდნენ ძირგამომხრელ ფურცლებსა და სხვა ანტიიუგოსლავურ მასალებს, იყენებენ ორგანიზატორები და მონაწილენი იმ მტრული კონტრრევოლუციური დემონსტრაციებისა, რომლებიც გასული წლის გაზაფხულზე გაიმართა ამ მხარეში. სასამართლომ ბრალდებულთა მიუსაჯა სხვადასხვა ვადით პატიმრობა.

როგორც იუგოსლავიის პრესის პუბლიკაციებიდან ჩანს, კოსოვოში კვლავინდებურად რთული საშინაო-პოლიტიკური ვითარებაა.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, კოსოვისტური კავშირის კოსოვოს სამხარეო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ხასანმა განაცხადა: „ვითარების ნორმალიზაციის ერთგვარი დადებითი შედეგების მიუხედავად, კოსოვოში კვლავ გრძელდება ცალკეული შეტაკებანი ნაციონალისტურ ნიადაგზე მხარეში დაძაბულობის შენარჩუნების მიზნით.“

იუწყებიან, რომ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმმა განიხილა ამ ავტონომიურ მხარეში შექმნილი მდგომარეობა და მოუწოდა „ერთიანად იმოქმედონ, რათა მთელი არსებული პოლიტიკური და სხვა საშუალებებით აღკვეთონ მტრული საქმიანობა“. ხელისუფლების ორგანებმა, აღნიშნულია პრეზიდიუმის გადაწყვეტილებაში, ხელი უნდა შეუწყონ კოსოვოში მდგომარეობის ნორმალიზაციისთვის მთელი საზოგადოებრივი ძალების წარმატებითი საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის.

● დანია

საპროტესტო ნოტა

კოპენჰაგენი. დანიის (ქვეყნისა, რომელიც თავმჯდომარეობს ევროპის „საერთო ბაზრის“ ორგანოებს) საელჩოს წარმომადგენელმა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების იმ ათი წევრი ქვეყნის სახელით ვაშინგტონს საპროტესტო ნოტა გადასცა ცამეტრიდასავლეთ ევროპის გაზსადენის მშენებლობისთვის ამერიკული ტექნოლოგიის მიწოდების აკრძალვის გამო, იუწყება დანიის საინფორმაციო სააგენტო. ნოტაში გამოთქმულია ეარაუდი, რომ „აკრძალვის პოლიტიკური შედეგები ძირს გამოუთხრიან ევროპელების ნდობას ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დასაცავად“, — აღნიშნავს სააგენტო.

ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ნოტა პირველი ნაბიჯის „დასავლეთ ევროპის ქვეყნების საშინაო საქმეებში ამერიკის ჩარევის გამო“ უკმაყოფილების გამოხატვის გზაზე. „საერთო ბაზრის“ მინისტრთა საბჭოს უახლოეს სხდომაზე მოსალოდნელია ამ პრობლემის უფრო ყოვლისმომცველი განხილება, აღნიშნავს სააგენტო.

ბუნების ჰირვეულობა

ვულკანმა გაიღვიძა

ჯაპარტა. დაიწყო ამოფრქვევა ვულკანმა გალუნგუნგმა, რომელიც ინდონეზიის ქალაქ ბანდუნგიდან (დასავლეთ იავა) 100 კილომეტრზე მდებარეობს. ვულკანის ყელიდან ამოფრქვეული ფერფლისა და გახურებული გაზების „შადრევნის“ სიმაღლე 700 მეტს აღწევს. ამოფრქვევას თან ახლავს მიწისძვრაც ბიძგები.

გალუგუნგმა გაღვიძა მიმდინარე წლის აპრილში. ამოფრქვევამ მთელი სერიის შედეგად ახლომდებარე ქალაქები ფერფლის ნესტი ფენით დაიფარა. სტიქიური უბედურების რაიონებად მოსახლეობის გახიზვნის მიუხედავად 27 კაცი დაიღუპა.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ—ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲡ

ᲑᲔᲒᲜᲘᲡᲘᲡᲗᲐ ᲛᲫᲘᲓᲐᲠᲘ ᲑᲐᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲑᲔᲒᲜᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲜᲔᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲐᲓ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲛᲘᲬᲐᲡ, ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲡ, ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲐᲚᲬᲧᲕᲔᲒᲡ.

ᲐᲛ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲗᲐᲜ ᲛᲫᲘᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐ, ᲓᲦᲔᲗᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲐᲠᲘᲡ. ᲔᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲘᲢᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲠᲘᲡᲮᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲘᲠᲒᲕᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲢᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ.

ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ. ᲔᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲘᲢᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲠᲘᲡᲮᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑ

თუშეთის საავტომობილო გზები დასერავს

თუშეთის მთაგორიანი ზეგანი გაყოფილია ორი მთავარი ღრმა ხეობით. ჩრდილოეთით მიუყვება „ბორბალოს ხეობა“, სამხრეთით — „გომეწრის ალაზნის ხეობა“. ორივე მდინარე იწყება ბორბალოს მთის აღმოსავლეთი ფერდობებიდან და დიდი მანძილის გავლის შემდეგ სოფელ შენაქოს ქვეშით ერთდებიან.

გომეწრის ალაზნის მარჯვნივ-დან ერთვის მდინარე ჭანჭახოანი. მის ხეობაში მდებარე სოფლები შტორლთა, ყველერთა, ჩიგლაურთა, ხახაბუ, საბუე, ჩილდირი, ხისო ახლოსაა განლაგებული მაგისტრალურ გზასთან.

თუშები ძირითადად აღნიშნული ორი მთავარი ხეობისა და მათთან დაკავშირებული მცირე ხეობების ტერიტორიაზე არიან დასახლებული. იმავე ხეობებზეა ამა თუ იმ სოფლის სახნავები და საძონლის, უმეტესად ცხვრის საძოვრები, სადაც მთების სუბალპური და ალპური ზონები შესანიშნავი ბაზაა მეცხვარეობის განვითარებისათვის...

თუშეთის ყოველი სოფელი და მთის სამეურნეო უბნები ცენტრთან (ომალო) დაკავშირებულია ძველი, საცხენოსნო გზებით, რომელთაგან უმეტესობა ახლა მეტრი. გზის შენებლობა დაიწყება ომალოსთან და გაგრძელდება დასავლეთისაკენ, გიოკლის მიერგეული ვაკეს, შემდგ სოფელ ბოჭორმის ბოლოს, დოჭუს დასაწყისს, და შეგა ჯვარბოსლის დაბლახთანს ხეობაში. იქ გზა ხიდით გადავა მდინარის მარჯვენა მხარეზე, მიეა გომეწრის ალაზნის და წოვათის წყლის შესაყართან და დასრულდება წოვათის ხეობაში.

პირიქითი ალაზნის ხეობის საავტომობილო გზის პროექტი ჯერ არ შედგენილა. აქ გზის გაყვანა ისეა ნავარაუდევი, რომ მოკეთილი დაუკავშირდეს იქ გაწლაგებულ სოფლებს, ცხვრისა და საქონლის საძოვრებს. სახელდობრ, მაგისტრალური გზის დასასრულს, ქვევით — ომალოს ბოსლებიდან უნდა გადავიდეს პირიქითი ალაზნის ხეობაზე, გიოკლის სოფელ შენაქოსთან, მიეა სოფელ დიკლმდე, იქიდან წინსონეზის მთის ფერდობიდან გადავიდეს პირიქითი ალაზნის ხეობაზე, სადაც გაჰყვება მდინარის მარცხენა ნაპრის ტყიან ფერდობს ტუტარიკს, გადავა მდინარე ხასა ხეობაზე, გიოკლის ჩილოს ბოლოზე, სოფლებს დარიოლს, დანის ასცდება ქვეკეი, შეგა ცირმევის ჭალაში, ჭეშოს ოუკლის გვერდით, ასცდება სოფლებს ფარსმას, ჯონთოს, გირეკს, ავა ქვანიღის ხორხში და იქ დამთავრდება.

თუშეთში შიდასაავტომობილო გზების უქონლობა იქ დამზადებული ცხვრის პროდუქციის (ყველი, მატყლი) გადატანას და სხვა საქმიანობას დიდ დაბრკოლებებს უქმნის. მაგალითად, პირიქითი ალაზნის ხეობის მთების ალპურ ზონაში განლაგებული საძოვრებიდან დაახლოებით 20.000 სული ბატკანი (ოთხლი) გასაპარსად ჩამოჰყავთ სოფელ დალთოში მდინარის სანაპიროზე, სადაც ადგილის სივიწროვეა და საძოვარიც ნაკლებია. იქ ბატკნის პარსვა კარგა ხანს გრძელდება, რის შემდეგაც ფარები ისევ მიჰყავთ სუბალპურ საძოვრებზე. კრიალი იქიდან ვერტმფრენით ჩამოაქვთ კახეთში, 1 რეისზე — 2 ტონა. ტონა ტვირთის გადატანა ჯდება 250 მანეთი. 1 ბატკნის ნაპარსი შეადგენს საშუალოდ 1-1,5 კგ-ს, ე. ი. 20.000 ბატკნის ნაპარსი შეადგენს 25 ტონას. მის გადატანაში იხარჯება 5-6 ათასი მანეთი. ამაზე მეტი თანხა იხარჯება გომეწრის ხეობის მთებში ბინადარი ბატკნის ნაპარსის გადატანაზე.

ცხვარი თუშეთიდან კახეთში ჩამოჰყავთ და იქ პარსავენ, მაგრამ იქაც ხვდებათ დაბრკოლებები. მაგალითად, სოფელ ლალისყურის მეცხვაურობის საბჭოთა მეურნეობაში ვაერთიანებულია თელავის : რაიონის 16 სოფლის ცხვარი და საერთო რაოდენობა 35.000 სულს აღწევს. ამდენ ცხვარს და სოფლის მსხვილფეხა ქონელს აქა აქვს საკმაოდ საძოვარი. ეს გამოწვეულია, ძირითადად, იმით, რომ ლალისყურის კუთვნილი მიწების 600 ჰექტარი სოფლის მოსახლეობამ ნაწილობრივ ალაზნის მარცხენა ნაპირამდე მოთვისებული აქვს თელავის დასავლეთით — რუისპირის ქვევით მდებარე სოფ. ყარაჯალას, სადაც იმ მიწებს ვერ იყენებენ, ლალისყურის ახლადფილ ტერიტორია კი გაცილებით ნაკლებია ყარაჯალისათვის მიკუთვნებულ ტერიტორიაზე. ამას ითთულებს კიდევ ის მდგომარეობა, რომ ლალისყურში თუ შენის მთიდან ჩამოსახლების შემდეგ სოფლის მოსახლეობა თითქმის ხუთჯერ გაიზარდა, რის შემდეგაც მისი სახნავ-სათესი, ცხვრისა და საქონლის საძოვარი უფრო შემცირდა. საჭიროა ლალისყურის დაუბრუნდეს მისი კუთვნილი მამაპაპეული ადგილები, რომ მეცხოველეობის, უმთავრესად მეცხვარეობის მეურნეობისა და მემინდვრეობის განვითარებისათვის ნორმალური პირობები შეიქმნას.

ქუემო ალაზანის ცხვარის პარსავენ ალაზნის სანაპირო რაყეზე, სადაც ადგილი უფრო ნაკლებია და მეტი სივიწროვეა. სოფლის სანაპირო ტერიტორია დაკავებულია ვენახებითა და ხეხილის ბაღებით, ამის გამო, ბოლო დროს ცხვარსაც მთაში პარსავენ, სადაც ნაც ჩამოსახანია 40-50 ტონა კრაველი და 18-20 ტონა ყველი. ეს კი გაცილებით ძნელია და თანაც უფრო ძვირი ჯდება.

თუშეთის შიდასაავტომობილო გზების გაყვანის შემდეგ საქმე ბევრად გაადვილდება, მეცხვაურობის საბჭოთა მეურნეობა ყოველგვარ ტვირთს გადაზიდავს თავისივე მანქანებით, რაც გაცილებით იაფი დაჯდება. გაადვილდება ცხვრის ბინებისა და მწყემსების მომარაგება, გაუმჯობესდება მეცხვაურთა ყოფა-ცხოვრების პირობები. ყველა ბრიგადაში მოეწყობა ცხვრის გასასუქებელი პუნქტი.

ცხადია, შიდასაავტომობილო გზების საშუალებით მოსახლეობის უმეტესობა დაუბრუნდება შშობლიურ მთებს და განახლდება თუშეთი, სწრაფად განვითარდება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი; მესაქონლეობა, მემინდვრეობა, მეკარტოფილეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, ალორძინდება შინამრეწველობა. შეიქმნება ფიქალის საწარმოები, რომლითაც თუშეთი მეტად მდიდარია.

თუშეთი თავისი მრავალფეროვანი ბუნებით, შეუდარებელი ჰაეთი, მნეულოური და ცივი წყაროებით გამოყენებული იქნება საკურორტოდ.

რ. ელანიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი.

გარანტირებული სიბერე

თბილისის ზღვისკენ რომ გაიართ, არ შეიძლება არ შენიშნოთ სამსართულიანი თეთრი შენობა, რომელიც ხეხილის ბაღებსა და ვენახებშია ჩაფლული. ეს თბილისის საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონალური პენსიონერთა პანსიონატია. იგი 1980 წელს გაიხსნა და ხანდაზმულ, მარტოხელა ადამიანებს მშვიდი სიბერე და უბრუნველი ცხოვრება დაუმკვიდრა.

პანსიონატი 120 კაცისათვის არის გათვალისწინებული, მაგრამ ამჟერად აქ მხოლოდ 30 მუდმივი მცხოვრებია. ღვაწლმოსილ და დამსახურებულ პიროვნებებს მოუყრიათ აქ თავი. პირადად მე სამმოცო ომის მონაწილე ვარ, მრავალი ორდენისა და სამხედრო“ მედლის მფლობელი, ნინო ერისთავი რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობია, საკავშირო მნიშვნელობის პენსიონერია ბენო ფოფხაძე, აქვე არიან ლიდა ვიშნესკაია, ალექსანდრა დრაჩოვა, დმიტრი ტანტურიშვილი და სხვები.

თითოეულ მათგანს რომ ჰკითხოთ, უთუოდ დაგიდასტურებთ, რომ პანსიონატში ცხოვრების ყველა პირობაა შექმნილი.

მოხერხებული, კომფორტული ავეჯით დამშვენებული ჰოლები, ვესტიბიული, ბიბლიოთეკა, საპარიკმახერო, საფოსტო გზავნილებათა ოთახი, კინოდარბაზი, მაღაზია, ყველაფერი ისეა მოწყობილი და გათვალისწინებული, რომ ადამიანის ყოფითი და კულტურული ცხოვრების მოთხოვნები სრულად კმაყოფილდება. ხოლო სიმაყურადღ და საცხოვრებელი ღუქსები დამმარე საცხოვრებელ ოჯახურ გარემოსა და სიმბოს ქმნის, რაც ჩვენს სულიერ განწყობილებას ესადაგება და ამშვიდებს.

ბანაობი ბევრი გვაქვს. სიხტემატურად გვიჩვენებენ ახალ ფილმებს, დავდივართ ექსკურსიებზე, დღეს ისე ვატარებთ, როგორც მოგვესურვება, ვკითხულობთ წიგნებს, ვთამაშობთ ჭადრაკს თუ შაშს, ბილიარდს.

სამედიცინო მომსახურებაც მაღალ დონეზეა დაყენებული, გვინევენ აუცილებელ დახმარებას, ჩვენს განკარგულებაშია თანამედროვე დონეზე მონყობილი სტომატოლოგიური და ფიზიოკაბინეტები.

ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი და საგულისხმოა პანსიონატის თანამშრომელთა გულთბილი დამოკიდებულება. მადლობის მეტი რა გვთქმის. პენსიონერთა პანსიონატის გახსნა ადამიანისათვის პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პანსიონატის ერთ-ერთ ფუნქციას შეადგენს შრომისა და ომის პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდთა შინ მომსახურება. მარტოხელა პენსიონერებისათვის (70 ოჯახამდე) შინ მიაქვთ ცხელი კერძები, ხუთ დღეში ერთხელ კი — მშრალი პროდუქტები. 10 დღეში ერთხელ მათ თეთრეულსაც უცვლიან, ზოგჯერ ოთახებსაც ულაგებენ. 50 მანეთამდე პენსიის მქონეთათვის მომსახურება უფასოა.

ასე რომ, ჩვენს ქვეყანაში ხანდაზმული ადამიანები სახელმწიფოს ზრუნვითა და ყურადღებით არიან გარემოსილი. ამ საკითხეულ ყოველდღიურად ვგრძნობთ მე და ჩემი ამხანაგები.

თ. მაისურაძე,
პერსონალური პენსიონერი, თბილისის პანსიონატის მცხოვრები.

ასე არ უნდა ხდებოდეს

ზზინრად მიხდება ზუგდიდ-თბილისის მატარებლით მგზავრობა და ზზინრადაც მიწევს ნერვიულობა: პარასკევს (როცა თბილისიდან მივემგზავრები) და კვირას (როცა ზუგდიდიდან ვბრუნდები) სალაროებში ბილეთს ვერ ვპოულობ (არ არისო, მეუბნებიან). მთელი დღე სარბილის, მეგობრების, ნაცნობ-უცნობების შეწუხების შემდეგ ეს ბილეთი მაინც ანაჩრდება ხოლმე (ზოგჯერ გამყოფლებსაც. „ვაწუხებ“ — მათთან ყოველთვის მოიძებნება თავისუფალი ადგილები). ჩაჯდები ვაგონში და ხან აუტანელი სიცხეა (კონდიციონერი არ შუშაობს), ხანაც გამჭოლი ქარი. ზოგჯერ კუპის კარი ისე ჩაიკეტება, რომ მთელი საათი ფეხჯაჯგურო. ვაგონებში არ არის სასმელი წყალი. ზოგი გამყოლი, ტუკუობა, თავს არ იწუხებს წყლის მომარაგებით, ზოგ ვაგონში წყლის ავზი საერთოდ მოშლილია (ამ მხრივ არც სხვა მატარებლებშია ყველაფერი რიგზე).

ეგ კიდევ არაფერი.

27 ივნისს ზუგდიდში ზემოთ აღწერილი გზით „პლაცკარტი“ ვაგონის ბილეთი შევიძინე. ვაგონში არ ჩქოხლდთ თეთრეული....

— რა მოხდა? — ვკითხე გამყოლს.

— მე რა ვიცი, ჰკითხეთ უფროსს, — ადგებულად მიპასუხა გამყოლმა ბადრიაშვილმა (ასე გამაცნო თავი).

მივდივარ მატარებლის უფროს ვახტანგ სუხიაშვილთან.

— გუშინ თბილისიდან გამომგზავრებისას თეთრეულის 400 კომპლექტი დაგვაკლეს. . დღეს დილით დეპეშაც გავგზავნე, — ქვითარი მიჩვენა მატარებლის უფროსმა, — შეიძლება ცხაკიაში დაგვაჭვედრონ.

— კი მაგრამ, რაც მოგცეს ის სად არის?

— რმილი და კუპირებული ვაგონების მგზავრებს მივეცით: რამდენიმე კომპლექტი კი დავგრჩა, მაგრამ „პლაცკარტის“ მგზავრებს არ ეყოფათ, ამიტომ გადავწყვიტეთ საერთოდ არ გავცეთ. ერთს რომ მივცეთ და მეორეს — არა, რა გამოვა?

დავბრუნდი ჩემს ვაგონში.

— რამდენი თეთრეული მოგაცეს? — ვკითხე გამყოლს.

— თეთრეული არა მაქვს — მითხრა გამყოლმა.

— მომიწერეთო ხელი ამ წერილზე, — ვთხოვე ბადრიაშვილს.

— არაფერსაც არ მოგიწერთო! — კატეგორიულად მეუბნება იგი.

— რატომ?

— უფროსმა მოგიწეროს! — „მორჩა“ გამყოლმა. მისი „რჩევა“ არ შემისრულებია... თეთრეული ცხაკიაში არ მიგვიღია, არც ზესტაფოსში, და ასე ჩამოვედით თბილისში.

რატომ ხდება ასე?

როგორც შემდეგ გავიგე, ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა.

ე. კვირტია.

მთიდან შემოთვლილი საამდურავი

კაღოეთი ლუშეთის რაიონის ერთი მთიანი სოფელია, რომელსაც მხოლოდ რვა კომლი შემორჩა, დანარჩენებმა კი თავს უშველეს. დაშრა მთა, სახნავ-სათესს და სათბის ვეღარ ვერავეთ... ნეტავ იცოდეთ, რა ნაყოფიერია აქაური მიწა, როგორი ღალიანი ბალახი იცის ამ დალოცვილ კადოეთში.

ჩვენს სოფელზე ბევრი კარგის თქმა შეიძლება, მაგრამ ამჯერად ჩვენი გაჭირვეგა უნდა მოგახსენოთ.

სამე ის გახლავთ, ზოგიერთ ადგილობრივ ხელმძღვანელს აეწყდება, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურება მჭიდროდ უკავშირდება სასურსათო პროგრამის განხორციელებას, რომ მშრომელი ადამიანი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს და ჰქონდეს შრომისათვის კარგი, დიახ, კარგი გაწყობილება, რადგან ის არის მწარმოებელი. სხვაგვარად ეს საარსებო პრობლემა არ გადაწყდება.

ადგილობრივი ხელმძღვანელობისაგან ასეთი სამდურავი ბევრს არ ესიამოვნება, მაგრამ თუ დგეთანხმებიან იმაში, რომ სიმართლე, რაც უნდა მწარე იყოს, უნდა ითქვას, მაშინ ალბათ მოგვეტევებენ.

პარტიამ და მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელეს რესპუბლიკის მთის სოფლების აღორძინებისათვის, მათი შემდგომი კეთილდღეობისათვის, მაგრამ ამ სიკეთეს ჩვენამდე არ მოუღწევია. ჩვენ ჯერაც არ განგვიცდია ელექტრიფიკაციის მადლი.

დაგვეთანხმებით, რომ კადოეთელს არ აწყენდა საოჯახო ელექტროხელსაწყოები და არც ტელევიზორი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა თვალყური გვდევნებინა ჩვენი დიადი საშობლოს საშინაო და საგარეო საქმიანობისათვის. ამასთან სწორად დაგვგმავდით ხეალინდელ დღეს.

ადამ ვიცით, რომელი ერთი გაჭირვება დავიჩ

ოთ. იმას კი აუცილებლად ვიტყვით, რომ ნაპოლეონის ლამპის შუშა ვერსად ვერ გვიშოვია, რაც კადოეთელებისათვის ისევე აუცილებელია, როგორც სუსტადა ბზეული ადამიანისათვის სათვალე.

ამ წერილის ერთ-ერთ ავტორს სამი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს და არც სხვები ვართ უძირონი. ვიცით ბავშობის ან ბებერობისაგან, მაგრამ ამაში მაინც დაგვეხმარონ, ღამე ბავშვი რომ ატირდება, ოთახის განათება შეეძლოთ.

პატივცემულო რედაქტორ, თქვენი ნათქვამი ყველას სწვდება, ამიტომ გაწუხებთ და გთხოვთ ეს პატარა წერილი თქვენი გაზეთის ფურცლებზე გამოგიქვეყნოთ. იქნებ ყურად იღოს ინან, ვისაც ჩვენი სამდურავი ეხება და გვიხსნას ამ გაჭირვებისაგან, ჩვენ კი ვმადლობდით, რომ თქვენს ზრუნვას ბეჯითი შრომით ვუპასუხებთ.

გ. ქოკაუშვილი,
გ. სიდამონიძე,
ლ. ქოკაუშვილი.

რატომ არის იშვიათი საშოვნელი?

„**ბასტი**“ გამოჩენა, უნდა ითქვას, მნიშვნელოვანი მოვლენაა წერის საშუალებათა განვითარების პროცესში. ისეთივე, როგორიც იყო ლითონის კალამი ბატის ფრთასთან შედარებით ან ავტოკალამი ჩვეულებრივი საწერკალმის შემდეგ. ეგრეთ წოდებულ ბასტას დიდი უპირატესობა აქვს თვით საუკეთესო ავტოკალმის წინაშე: გაცილებით დიდხანს წერს მელნის ჩაუმატებლად.

იყო დრო, როცა ბასტის კალმისტარიც იშოვებოდა ჩვენს მაღაზიებში და ბასტის გულიც. რამდენიმე წელია ბასტის გულის შოვნა ჭირს. ძალიან იშვიათად, შემთხვევითი თუ წაგაწყდება. მას კაცი. ამიტომ ყოველ გამოცლისას მთელ ბასტის კალმისტარს ვაფიდულთხთ. ჩვენ მარტო ის კი არ გვალამპაკებს, რომ 8-კაპიკიანი ნაწილის ნაცვლად იძულებული ვართ 35-კაპიკიანი ნიეთი შევიძინოთ. არც ის არის მოსაწონი, რომ დეტალის საშოვნელად მთელი ნიეთი იფლანგება. ეს ზერელე, უზრუნველ დამოკიდებულებას ნერგავს მატერიალური ფასეულობისადმი.

რატომ გაჭირდა ასე მომხმარებლის დაკმაყოფილება ბასტის გულთ?

შ. მალაზონია,
ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

სურათზე: ჩოხატაურელი ცხენბურთელები.

ს. თევზაძის ფოტო.

მაღლობა ქერჩელ ჰიონერს

ბიდევს წინ სიძველისაგან ბეწდაკარგული, გაყვითლებული ფურცლები, ფრონტიდან გამოგზავნილი ბარათები, ვკითხულობ და მწყმს — ამ ბარათების დამწერს და მრავალ მის მსგავსს ნამდვილად ვერ მოერეოდა, ვერ დაიჩრენებდა, ვერ დაჯახებიდა მტერი, ვერ წაართმევდა სათაყვანო სამშობლოს და თავისუფლებას.

ჩვეულებრივი ამბავია, იმ მრავსხანე დღეებში დედასამშობლოს დამაბილზე ერთი ოჯახიდან ხუთი ამა წავიდა! დავთიი, სერგო, ვასილო, ზაქარია და სიმონ ტერტერაგები. სამი დაბრუდა დაქრილ-დასახირებული, ხოლო დაკიბი და სერგო დაიღუპნენ.

სერგო თელავში ცხოვრობდა, ჰქონდა ბედნიერი ოჯახი, ფრონტზე 1941 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში წავიდა, იბრძოდა ყირიმში, იყო 187-ე ტანკსაწინააღმდეგო მსროლელი დივიზიის უფროსი სერჟანტი.

„ბაბვებს ვაუფრთხილდი, — სწერდა იგი მეუღლეს — მკერა, ისინი უჩემოდაც კაიზრდებიან, მე თუ არ ვიქნები, ჩემი შვილები ამაყად იტყვიან, მამა ჩვენს დასაცავად, სამშობლოს დასაცავად დაიღუპაო... იმედი მაქვს, ოჯახს მაინც დაუბრუნდები“.

მაგრამ ომიდან არ გაუმართლა, 1942 წლის მისმა ოჯახმა მისი უგზოოკაელად დაკარგვის ამბავი შეიტყო.

გავიდა წლები. სამშობლო და ხალხი თანდათანობით იშუშებს იარებს. მიწას ბეერგან კვლავ ძმიმ დალად ამჩნევია სამმი და უცნობი ჯარისკაცის საფლავები. ჯერ კიდევ გლოვობენ შვილებს, მამებს, ქმრებს, ძმებს, ჭირალობა მთლიანად არ მოშშებულა, „კვლავ გვტკივა, ჯერ კიდევ ვშუხვართ...

წლეულს მარტში თელავის სამხედრო კომისარიატმა მიიღო ცნობა სერგო ტერტერაგის ნეშტის აღმოჩენის თაობაზე.

ყირიმში, ქალაქ ქერჩს მითრიდატეს მთა აკრავს იმგვარად, როგორც თბილისს მთაწმინდა. ქერჩის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლე, პიონერი იური ზარშჩიკოვი, რომელიც ქერჩის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან არსებული ნორჩი არქეოლოგიური წრის წევრია, თურმე მარტო წასულა მითრიდატეს მთაზე. მან ფერდობზე შეამჩნია მიწიდან ამოშვერილი ქამრის ბალთა. გონიერი ბიჭუნა არ აჩქარდა, მიზდა, აქ მარტო ქმარი არ იქნებოდა, აცნობა დედას. მათ ქამარს მიწა ფრთხილად შემოაცლეს და ალმოჩნდა ორი ჯარისკაცის ნეშტი. ვინაობის აღმნიშვნელი მედალიონების მიხედვით ამოიკითხეს გვარები.

ერთ-ერთი სერგო ტერტერაგი აღმოჩნდა. მის ნეშტს მხარეულივ გადაკიდებული ჰქონდა სვეელ ჩანთა, საიდანაც ამოიღეს პარტიული ბილეთი, ქარხნის მებრძოლთა სია და პარტიის საწევრო ანარიცხების შეტანის ქვითარი. მას უყმარა მარჯვენა ხელში მაგრად ჩაებღუჯა, ტყორცნა ალარ დაისლოდა. სამეფნი ქერჩის სამხედრო კომისარიატი ჩაერია.

... 1982 წლის 9 აპრილს ქერჩში ჩავიდნენ სერგოს ქალიშვილი და სიძე. მათ ომში დაღუპული მამის ნეშტი საქართველოში ჩამოასვენეს და 1982 წლის 24 აპრილს თელავში შშობლიურ მიწას მიაბარეს.

ცოტა ხანს ... ეს ამბავი ... ეს ... ...

ერთიერთგამამდიდრებელი დიალოგი

ᲨᲣᲐ ᲐᲮᲘᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ, ᲐᲑᲐᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ხალხთა ლიტერატურები, რომლებიც ეროვნულ ნიადაგზე წარმატებით ვითარდება, მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს შემოქმედებითი ურთიერთკავშირი და ურთიერთმოქმედება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებაა, რომელიც სტიმულს აძლევს მხატვრული შემოქმედების შემდგომ აღმავლობას. თარგმანების მეოხებით იგი ყველა ხალხის კუთვნილება ხდება, ჩვენი საერთო სიმდიდრეა. თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის ამ მნიშვნელოვანი კანონზომიერების შესახებ გაიმართა შინაარსიანი სჯა-ბაასი ხელოვნების მუშაკთა სახლში შუა აზიის რესპუბლიკების, ყაზახეთისა და საქართველოს მწერალთა შეხვედრაზე.

შეხვედრის განხსნისას საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარემ ო. ნოდიამ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამგვარ შეხვედრებს, რომლის მეოხებითაც მომძე ლიტერატურათა წარმომადგენლები ერთმანეთს შორის ურთიერთგამამდიდრებელ დიალოგს მართავენ და უზიარებენ მუშაობის გამოცდილებას, სახავენ შემოქმედებითი კონტაქტების სრულყოფის შემდგომ გზებს.

საქინფორმი გთავაზობთ სტენოგრამთა გამოსვლების რამდენიმე მოკლე სტენოგრამას.

ᲡᲣᲚᲘᲣᲜᲑᲐᲖᲘ ᲘᲠᲐᲚᲘᲔᲕᲘ,

ყირგიზეთის სახალხო პოეტი:

— ყირგიზული საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლები დიდი ინტერესით ეკიდებიან ქართულ ლიტერატურას. ჯერ კიდევ 40-ან წლებში ყირგიზულ ენაზე ითარგმნა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ამ თარგმანმა, რომელიც ნიჭიერმა პოეტმა აღიარეთა ოსმანოვამ შეასრულა, გარკვეული ზემოქმედება მოახდინა მის შემოქმედებაზე. დღეს ჩვენს ენაზე ეიღრს რუსთაველის შთამომავალთა საუკეთესო ნაწარმოებები. ჩვენთან დაისტამბა სამოციზე მეტი ქართველი მწერლისა და პოეტის ქმნილებანი. ახლახან ლიტერატურული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა ნოდარ დუმბაძის მოთხრობები, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის ლექსები.

თავის მხრივ ქართველი მკითხველისთვისაც მახლობელი და შობლიური გახდა ყირგიზული საბჭოთა ლიტერატურის ნიმუშები. ქართულ ენაზე გამოიცა „რეტული „ყირგიზული საბჭოთა პოეზია“. ცალკე უნდა აღვნიშნოთ, თუ რაოდენ პოპულარულია, ქართველ მკითხველთა შორის ჩინთალი „ომში მიმავალ ვაჟკაცებს“ და, ავადმყოფობა რომ არა, ვინ იცის... ყველა ახსოვს — ვინ დაბრუნდა და ვინ არა იმ ომიდან, ვინ ცოცხალია და რა გზას ეწია...

— ნიადაგ მაწუალებდა შიშმოუსვლელ თანასოფლელთა ბედი, — ამბობს იგი, — დიდხანს ვეტრებდი უჩუმრად მათს ხსოვნას და... ბელორუსიაში, მირზა გალოვანის საფლავთან რომ ვიდექ, გულს გამოვეტყფი, — რადაც უნდა ამბავად ჩამოდომოდა, ამესრულებინა წადილი, ქვაში „გამეკოცხლებინა“ ჩვენებური ბიჭები.

აღასრულა ადიეს! თავდაბრალად ახალგაზრდა მოქანდაკეს ხათუნა ოჩიაურს გაუზიარა სანდრომ თავისი ჩანაფიქრი, იმასაც გულთან ახლოს მიიტანა თხოვნა და დაიდგა თრანში შინმოუსვლელ ვაჟკაცთა ხსოვნის მეგობრიალი, დაიდგა ამ წმინდა ალაგას, სადაც ყოველ ომში ამყარი ღიმილის ბიჭები.

შემორიალის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის თანაენთის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. მერკანმა.

სიტყვა წარმოთქვეს რაიონის მოწინავე ადამიანებმა, მოუკვლელმა სტუმრებმა, ომის ვეტერანებმა, კომკავშარელებმა, პიონერებმა, ყვავილდებოდნენ.

და ისევდა ოსმიანი სიმღერა: „ორავგო, ეუკარაულე ომში მიმავალ ვაჟკაცს!...“

Ხ. ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲘᲠᲘᲜᲔ ᲒᲔᲠᲐᲡᲘᲛᲝᲕᲐ.

ᲮᲡᲝᲕᲜᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲐ



„ᲘᲚ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ! სიკეთიდან არდანებებასს!..“ მირზა გელოვანის ეს მუხლადი სიტყვები ფრონტელი ბარათიდან ქვაში გადაბინადრებულა და ამიერიდან უფრო მეტს ეტყვის ' გამვლელ-გამომვლელს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია სიტყვა — სამშობლო, სიტყვა — მშვიდობა.

პატარა სოფელია თრანი — თითქმის რაინულ ცენტრს ასე ოცდახუთიოდე კილომეტრით დაშორებული; წიკლოურები, ზურდულები, არაბულები და გიგაურები ჭარბობენ ამ სოფელში, — გამრჯე, მტერ-მოყვრის გამჩრეველ და გულალალი ხალხი.

ბეგრი თრანელი ჭაბუკი აიმგზავრა დიდმა სამამულო ომმა-ცდაერიაში, ზოგი სად ატარა და ზოგი სად, ვის შინ მშვიდობით მოსცლა არგვნა და ვის კიდევ ზედ თოფის ლულაზე ჩაუქრო ბედის ვარსკვლავი.

ეამეტნა... ლენინგრადსა და ალეკოლიაში, უკრაინასა და ბელორუსიაში, ქერჩსა და სევასტოპოლთან გმირულად დაღუპული ეამეტი თრანელი ვაჟკაცი — აი, ვის უკვდავსაყოფად აიგო ძეგლი მათს შშობლიურ სოფელში.

ხალმრავლობა იყო ამ დღეს თრანში, ვის არ ნახავდით მემორიალის გახსნაზე, და მაინც, ყველას მზერა ერთისაკენ იყო მიპყრობილი. — ჯმაღლობო, ეუბნებოდნენ, და ისეც, უსიტყვოდ უპასუხებდა მადლობის სიტყვებს.

რამ შთაგონა „ალექსანდრე ბურდეულს, რუსთავის მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელს, საკუთარი შრომითი დანაზოგებით აეგო ძეგლი შინმოუსვლელთა სახელის უკვდავსაყოფად?

თრანელია სანდრო, როგორც შინაურები ეძახიან, აქ დაიბადა და გაიზარდა, აქედან გააყოლა თვალი „ომში მიმავალ ვაჟკაცებს“ და, ავადმყოფობა რომ არა, ვინ იცის... ყველა ახსოვს — ვინ დაბრუნდა და ვინ არა იმ ომიდან, ვინ ცოცხალია და რა გზას ეწია...

— ნიადაგ მაწუალებდა შიშმოუსვლელ თანასოფლელთა ბედი, — ამბობს იგი, — დიდხანს ვეტრებდი უჩუმრად მათს ხსოვნას და... ბელორუსიაში, მირზა გალოვანის საფლავთან რომ ვიდექ, გულს გამოვეტყფი, — რადაც უნდა ამბავად ჩამოდომოდა, ამესრულებინა წადილი, ქვაში „გამეკოცხლებინა“ ჩვენებური ბიჭები.

აღასრულა ადიეს! თავდაბრალად ახალგაზრდა მოქანდაკეს ხათუნა ოჩიაურს გაუზიარა სანდრომ თავისი ჩანაფიქრი, იმასაც გულთან ახლოს მიიტანა თხოვნა და დაიდგა თრანში შინმოუსვლელ ვაჟკაცთა ხსოვნის მეგორიალი, დაიდგა ამ წმინდა ალაგას, სადაც ყოველ ომში ამყარი ღიმილის ბიჭები.

შემორიალის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის თანაენთის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. მერკანმა.

სიტყვა წარმოთქვეს რაიონის მოწინავე ადამიანებმა, მოუკვლელმა სტუმრებმა, ომის ვეტერანებმა, კომკავშარელებმა, პიონერებმა, ყვავილდებოდნენ.

და ისევდა ოსმიანი სიმღერა: „ორავგო, ეუკარაულე ომში მიმავალ ვაჟკაცს!...“

Ხ. ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲨᲘᲜᲛᲝᲣᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲗᲠᲐᲜᲨᲘ.

ᲧᲐᲒᲐᲮᲘ

ᲡᲐᲛᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲚᲔᲚᲐ ირინე გერასიმოვამ რომ კიევში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატზე 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში საკავშირო რეკორდი დამოთავრა შეჯიბრება, მკითხველმა უკვე იცის. ამის შემდეგ მან კიდევ ორი გამარჯვება იზეიმა: ჯერ 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (4.50,80), შემდეგ კი 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (2.02,05). საქართველოს წარმომადგენელმა დ. იაკოვლევამ 200 მეტრზე ბატერფლაით ისპარეზი და მეოთხე ადგილი დაიკავა (2.08,8).

ახლა ირინე 18 წლისაა. იგი ქუთაისის საცურაო აუზში შვიდი წლის წინათ უფროსმა ძმამ იგორმა მიიყვანა. აუზში გამოჩენთანავე მან სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. 1977 წელს გერასიმოვამ თბილისში დაიწყო მეცადინეობა. შვიდი თვის განმავლობაში ირინემ განვლო გზა მეორე თანრიგოსნიდან სპორტის ოსტატამდე.

მალე თბილისელი მოსწავლე მოცურავეთა ოლიმპიურ გუნდში შეიყვანენ, ქვეყნის ნაკრების მწვრთნელმა ს. ვოიცეხოვსკიმ მოსკოვის ოლიმპიურ ასპარეზობაზე გერასიმოვა გამოიყვანა 4X100 მეტრზე ესტაფეტაში. სპეციალისტთა აზრით, საბჭოთა კავშირის მოცურავე გოგონებს შეეძლოთ ოლიმპიადის რომელიმე ჯილდოს მიღება, მაგრამ მაშინ მათ ხელი მოეცარათ...

— ახლა მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს, — უთხრა მაშინ ჟურნალისტებს ირინე გერასიმოვამ, — 1984 წლის ოლიმპიადაზე გამოვიდე.

თავისი განზრახვის სერიოზულობა მან დაამტკიცა დნეპროპეტროვსკში გამართულ ქვეყნის ჩემპიონატზე, სადაც სამი ოქროს მედალი მოიპოვა.

გუშინ დილით ჩვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ი. გერასიმოვას და რედაქციის სახელით მოუოცა მას წარმატება. მან მადლობა გადმოთქვა ყურადღებისათვის და დასძინა: — მგონი მიზანთან ახლოს ვარ, ჩემი ოცნება ხომ 1984 წლის ოლიმპიადაზე მონაწილეობაა. კიევში მოპოვებული წარმატებები, ალბათ, კიდევ ერთი ნაბიჯია სანუკვარი მიზნისაკენ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ირინე გერასიმოვა.

ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲮᲕᲐᲚ...

...**ᲑᲐᲜᲘᲐᲠᲗᲗᲔᲑᲐ** უმაღლესი ლიგის გუნდების ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეთექვსმეტე ტურის მატჩები: დღეს თბილისის „დინამო“ მიიღებს მოსკოვის „სპარტაკს“, ლენინგრადის „ზენიტი“ — ქუთაისის „ტორპედოს“, ოდესის „ჩერნომორეცი“ — ალმა-ათის „ყაზახსტანს“, კიევის „დინამო“ — ტაშკენტის „უზბეკისტანს“, მინსკის „დინამო“ — ბაკოს „ნეფთჩილს“, ცსკა — დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“, ყრანსოდარის „ყუბანი“ — დონეცკის „შახტიორს“, ერევნის „არარატი“ — მოსკოვის „დინამოს“. ხვალ მოსკოვის „ტორპედო“ უმასპინძლებს ხარკოვის „მეტალისტს“.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲔᲮᲑᲗᲐᲜ

ᲔᲚᲐᲜᲔᲗᲘᲡ ქალაქ ლას-პალმასში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო შეჯიბრება: მეორე ტურში ტ. პეტროსიანმა დაამარცხა ი. ტიმანნი (პოლანდია), მ. შუბამ (რუმინეთი) — ლ. ფსახისა, ზ. რიბლიმ (უნგრეთი) — ჟ. სეფნეტიტ (ბრაზილია). დაზავდნენ: ვ. ტუკმაკოვ-ბ. ლარსენი (დანია), უ. ბრაუნ (აშშ)-ი. პინტერი (უნგრეთი). გადაიდო ვ. სმისლოვ-ლ. კარლსონის (შვეიცარია) და ჯ. მეტენელ (ინგლისი)-ს. ბუაზიზის (ტუნისი) პარტიები.

მეორე ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ოთხ მოჭადრაკეს — სმისლოვს, რიბლიმს, ტიმანნს და ლარსენს 2-2 ქულა აქვთ, ამათგან სმისლოვს — ერთი დასამთავრებელი პარტია. ლიდერების ნახევარ-ნახევარი ქულით ჩემპიონობის პეტროსიანი, ბუაზიზი და ტუკმაკოვი (1).

ᲛᲝᲙᲚᲔᲓᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲑᲝᲚᲘ. გაიმართა პირველი ლიგის გუნდების მეოცე ტურის მატჩები: ლანჩხუთის „ვეფრამ“ მიიღო ბუსტონის „ვეფხვი“ და დაამარცხა ანგარიშით 2:0.

რედაქტორი
Გ. ᲒᲔᲓᲘᲜᲘᲫᲕᲘᲚᲘ.

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲝ
(ᲐᲯ. ᲤᲠᲔᲘᲝᲡᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ №2)
ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ
ᲡᲮᲚ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲘᲝᲜᲩᲐᲢᲘ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“
17 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ — ძირითადი შემადგენლობა.
დასაწყისი 20 ს.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 19 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.), 9.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ბაუფრთხილდით ბოსფორის“, 10.00 — „მოამბე“, 10.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“ — მხატვრული ფილმი „ახი დღე ბავშვობის შემდეგ“, 12.00 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის“ — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პრემიერა“, 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი, 17.00 — მუტლიპლიკაციური ფილმები, 17.30 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის — „ცვლა“, 18.30 — „კინოს სამყაროში“, 19.45 — „მისცდები გამოცდების წინ“ — სტუდიაში გორის ედგარიგური ინსტიტუტის რექტორი, დოცენტი რ. კანდელაკი, 20.00 — „მოამბე“, 20.30 — „ქართული კინოს ისტორიიდან“. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: „პირველი დღე“, „ფრონტისაკენ“, 21.45 — სახალხო ზეიმი „ექვთიმოობა“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — ოლიმპიურ ასპარეზობაში საბჭოთა სპორტსმენთა მონაწილეობის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული პროგრამა (მ.).

მეორე პროგრამა. 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.15 — განცხადებები, 17.20 — დოკუმენტური ფილმი „ბორის სტომონიაკოვი სტომონეიდან“, 17.40 — მხატვრული ფილმი „სადა ხარ, ბაგირა?“.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 20 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.), 9.45 — უკრა